# ბიზნესის მენეჯერის სასიკვდილო ცოდვები



# უპასუხისმგებლობა

უპასუხისმგებლო ადამიანი ისეთივე უკონტროლო და საშიშია, როგორც ფსიქიურად გაუწონასწორებელი ადამიანი. მისთვის საქმის მინდობა სიბრიყვეა,ხოლო რამის ახსნა კედელთან საუბრის ტოლფასია.

უპასუხისმგებლო ადამიანი საქმეში ყველაზე საშიშია.



# დაუდევრობა

სურვილის გარეშე , მხოლოდ იმ მიზნით შესრულებული საქმე , რომ რაც შეიძლება სწრაფად მოიშორო თავიდან არასოდეს არ იქნება ხარისხიანი. შესაბამისად ასეთი ფორმით შესრულებულ საქმეს აზრი არა აქვს.

დაუდევრობა - საქმისადმი და კოლეგებისადმი უპატივცემლობის ნიშანია.



# არაპუნქტუალურობა

საკუთარი დროის არაეფექტურად გამოყენება, დროის მენეჯმენტის უნარების არქონა დიდ გავლენას ახდენს საქმის საბოლოო შედეგებზე. მოვალეობების შესრულების გადავადება იწვევს დედლაინების დარღვევას, რაც პრინციპში საქმის შეუსრულებლობის ტოლფასია.

შეხვედრებზე, თათბირებზე და კონფერენციებზე დაგვიანება საკუთარი თავისა და კოლეგების უპატივცემლობის ნიშანია.



# უნებისყოფობა

საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღების და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების შიში ნებისმიერ ადამიანს საქმეში უსარგებლოს ხდის.

ასეთი ადამიანების ნდობა არ შეიძლება - მათ შეიძლება ყოველ წამს გაგიცრუოთ იმედები.



# უგუნურება

ადამიანი, რომელსაც არ შეუძლია საგნებისა და მოვლენების ცხადად დანახვა, დამოუკიდებლად გამოწვევებთან გამკლავება, გუნდის სხვა წევრების გაღიზიანებას იწვევს.
უწიგნურობა და ლოგიკის არ არსებობა -ერთგვარი ავადმყოფობაა, რომელიც რთულად ექვემდებარება მკურნალობას.



# არაადეკვატურობა

არაადეკვატურობის გამოვლინება სხვადასხვა ასპექტებით გამოიხატება: მგრძნობიარობა ინფორმაციის მიმართ, ვარსკვლავური ავადმყოფობა, კონფლიქტურობა, დაბალი ემოციური ინტელექტი, ადამიანების ზურგს უკან მათი განსჯა და ჭორების მოსმენისა და გავრცელებისადმი მიდრეკილება. ასეთი ადამიანები ყოველთვის იწვევენ ქაოსსა და არეულობას.



# სიცრუის მოყვარეობა

მატყუარა ადამიანი, რომელიც მიცემულ დაპირებას არ ასრულებს და პასუხს არ აგებს საკუთარ სიტყვებზე მრავალი პრობლემის მიზეზი ხდება, რადგან ვერ აცნობიერებს როგორ კარგავს პატივისცემასა და ღირსებას.



# გულუბრყვილობა

საწყის ეტაპზე, როგორც წესი ყველა გულუბრყვილოა.
რაც უფრო მალე მოხდება ამ ყველაფრის საღ აზრად
და ჯანმრთელ სკეპტიციზმად ტრანსფორმირება მით უკეთესი.
აზრს მოკლებული არ არის კრიტიკულად შეხედოთ თქვენამდე
მოსულ ყველა ინფორმაციას, ეძებოთ ამ ინფორმაციების
პირველწყარო და ყოველთვის გადაამოწმოთ მიღებული მასალა
დამოუკიდებელ წყაროებზე დაყრდნობით.

